

მოგების გადასახადის ესტონური მოდელი და მისი სამართლებრივი
რეგულირების პერსპექტივები საქართველოში

მარიამ წოწკოლაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ნარმანია, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და ის არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ წოწკოლაური

2016 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საკანონმდებლო ინიციატივა საგადასახადო სისტემის ესტონურ მოდელზე გადასვლის შესახებ, რომელიც ეგრეთ წოდებულ „განაწილებული მოგების გადასახადს“ ეფუძნება. აღწერილია, გადასახადების სამართლებრივი არსი და ფუნქციები, სამეწარმეო საქმიანობის ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკა, კანონპროექტში წარმოდგენილი ცვლილებები და მათი ამოქმედების ვადები. ნაშრომში აღწერილია, ესტონური მოდელის ქართული თავისებურებები, გაანალიზებულია რეფორმის მოსალოდნელი შედეგები და ცვლილების როგორც დადებით ისე უარყოფით ეფექტები.

ანალიზისთვის გამოყენებულია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა გამოკვლევები, პერიოდული გამოცემების მასალები, საერთაშორისო ორგანიზაციების გამოკვლევები და დასკვნა-რეკომენდაციები. ასევე, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის უახლესი მონაცემები, ფინანსთა სამინისტროს და სხვა უწყებებში არსებული ინფორმაცია. კვლევისათვის გაანალიზებულია ესტონეთის გამოცდილება და პრაქტიკული შედეგები, საქართველოს დღევანდელ სიტუაციასთან მიმართებაში.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, მოგების გადასახადის საკანონმდებლო ცვლილების მოსალოდნელი შედეგებისა და მისი განვითარების ყველა შესაძლო სცენარის შეფასება, რათა გამოიკვეთოს შემდგომი კრიზისული პერიოდის თავიდან აცილების შესაძლებლობები. აგრეთვე, რეფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოკვეთა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დაჩქარების თვალსაზრისით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მოგების გადასახადი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, ესტონური მოდელი, გადასახადის გადამხდელი, რეფორმა, გამოწვევები, დაბეგვრა, ცვლილების კანონპროექტი, შედეგი, კომპანია, დივიდენდი.

Abstract

The study refers to the legislative initiative about the transition of tax system to the Estonian model, which is based on so-called "Distributed Profit Tax". It describes the nature and functions of tax, the tax policy facilitating entrepreneurial activity, changes stated in the draft law and corresponding activation dates. The paper also sets out Georgian characteristics of the Estonian model and analyzes the expected results of the reform, including positive as well as negative effects.

The study uses expert estimations and recommendations about the impact of the reform as well as statistics and research publications for the analysis. It compares current situation in Georgia with pre-reform period of Estonia, thoroughly analyzing Estonian experience and its practical results in relation to the current situation in Georgia .

The purpose of the study is to evaluate and estimate the expected results of the income tax legislation change and all possible scenarios of its development, in order to outline the possible avoidance of negative results caused by legislative changes. Along with that, to define the pros and cons of the reform with the view of raising the speed of country's economic growth.

Basic key search words: corporate income tax, tax code of Georgia, the Estonian model, the taxpayer, reform, challenges, taxation, draft amendments, result, company, dividend.